№ 504. კვირა, 12 აპრილი. 1896—1898 კვირა, 12 აპრილი. № 504.

რედაქცია:

ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.

ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ-დღე.

ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი

ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან. თითო ნომერი 5 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტ ვვერდზე 10 კაპ. მეოთხეზე 4 კაპ.

Редакція

„ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ“

Тифлисъ, Дворцовая д. Дворянства

Телефонъ № 363



ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ



ახლად გახსნილი

☛ სტამბა ☚

„ცნობის ფურცლისა“

(ვ. გუნიასი)

ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119, 120 და 121.

სტამბა ყოველისფრით სავსე და მოწყობილია

ყოველ-გვარი საქმე სრულდება სწრაფად, სუფთად და იაფად.

სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას; მსურველნი მიჰმართავენ სტამბას, რომელიც-კისრულობს ხელ-ნაწერების აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდან ნება-რთვის აღებას და სხ.

**სადღესასწაულოდ** — სავიზიტო ბარათები სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჟებისა და ქალებისათვის იაფად და შნოიანად.

ВО ВНОВЬ ОТКРЫТОЙ **ТИПОГРАФІИ**

**„ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ“**

(В. Л. Гунiа)

Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европейскихъ языкахъ.

**Дешевизна, изящество и быстрота исполненія.**


დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი „ცნობის ფურცლისა“ გამოვა სამშაბათს, 14 აპრილს.


## „აღმოსავლეთის მაღაზია“

იოსებ მერკვილაძისა

ლორის-მელიქოვის ქ., ზუბალოვის სახ. № 4, სემინარიის პირდაპირ.

ხელ-ახლად მივიღეთ საუცხოვო: იმერული, მეგრული, დაღესტნური და ქუთაური **შალები, საკაბეებათ** და **სარჩულებათ.** აქვეა **ნაბდები ქალისა** და **კაცისა**, ჩიხაჯები, ქამარ-ხანჯლები, მრავალი სხვა-და-სხვა **დანები, თუშური ნაბდის ქუდები** და სხვა სამკაული.

მაღაზიას აქვს

სამკაულით ქართული (იმერული) ტანისამოსის სამკერვალო

ფასი ყოველიფერზე ზომიერი და დაკლებულია. (20—10)

მთავრობისაგან ნება დართული

**პანსიონი და სასწავლებელი**

მასწავლებელი ქალის

## ნ. დიდებულიძისა

ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხერხეულოვის სახ. № 146.

ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში. ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლად.

მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფეებიც სადგომად და საცხოვრებლად.

ჰანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლინო)

მოლაპარაკება პარასკეობით დილის 10 საათ.—3 საათამდე

**Пансіонъ и училище**

Учительницы

*Н. Дидебулидзе*

Тифлисъ, Михайловская ул. № 146

Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержаніемъ для учениц гимназіи. Обученіе музыкѣ. (150—131)


ლის გამგეობა აცხადებს, რომ პირველ მისიდან დაიწყება ადგილების გაცემა ვარანცოვის მაღლობზე და ბაკურიანში აგარაკების გასაშენებლად; ადგილების გაცემა გასტანს პირველ ნოემბრამდე. ადგილები გაიცემა აგრეთვე ახლად დაწყებულ ბორჯომ-ბაკურიანის რკინის გზის მიყოლ-მოყოლა წადვერში, წემის მაღლობზე და ციხის ჯვარის გოგირდის წყლების რაიონში.

** **ალბომის მართმევა.** დღეს, 12 აპრილს ტფილისის ადმინისტრაციის მოხელენი, ტფილისის ვიცე-გუბერნატორის კ. კ. სტეფანოვიჩის მეთაურობით, შეიკრიბებიან სავუბერნიო გამგეობაში, საიდანაც გაემგზავრებიან ტფილისის გუბერნატორად ნამყოფის, მისი უდიდებულესობის ვგერმასტერის თავ. გ. დ. შერვაშიძის ბინაზე, სადაც მას მიართმევენ შვენიერს ალბომს ტფილისის გუბერნიის მმართველობაში თანამსახურების სახსოვრად.

** **ს. ს. მეგრას საქმე.** ს. ს. მეგრისა და ფოთის პოლიცმეისტერად ნამყოფის ვოლოჩოვის საქმე, რომელთაც ბრალდებათ, რომ მათ შეგნებულად ნაწყვეტი ფიცის ქვეშ ცრუ ჩვენების მიცემაზე, დანიშნულია განსახილველად ტფილისის ოლქის სასამართლოში 17 აპრილისათვის.

** **ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიას.** 13 აპრილს გაემგზავრება სოფ. შულავერს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის 1 განყოფილების სესია. იმავე დღეს იმავე სასამართლოს სისხლის სამართლის 2 განყოფილებინ სესია მიემგზავრება ქ. თელავს. შულავერში სესია გასტანს 18 აპრილამდე, ხოლო თელავში—20 აპრილამდე.

** **ახალი დანიშნულება.** მთავრობის განკარგულებით ოზურ-


თავ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ მოსახერხებლად სცნო დაიკლოს მას მიერ გამოცემული თხზულებანი

## თ. ი. გ. ჭავჭავაძისა,

რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 25 მაისამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.

პირველი ტომი გაიყიდება 70 კ. | მესამე ტომი გაიყიდება 60 კ.
მეორე „ „ 60 კ. | მეოთხე (ორი წიგნი) 1 მ. 20 კ.

და ოთხივე ტომი ერთად 3 მანათად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გავუგზავნებთ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას—პირველს, მეორესა და მესამე ტომზე თვითეულზე ... კაპ. თითოეულზე, ხოლო მეოთხეზე 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კანტორაში იყიდება, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, ალექსანდროვის ბაღის თავში.

ადრესი: Тифлисъ, Грузинское издательское Товарищество. (15—3)

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქალებო, თვალისა და ყურ-ყელისა, გოგო-ბავშვის და დედათა ავადმყოფობისა.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდან საშუადღეოდ 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. მირაბი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერიის D-r ფ. ბაციევი.

თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და საჯისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.

Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

გამოვიდა და იყიდება

ცხოვრება

ღირსისა და ნეტარისა

## თეოდორასი

გამოცემული

მორჩილის რაფიელ ბარამიასაგან

ფასი 5 კაპ.

იყიდება ტფილისის ყველა წიგნების მაღაზიებში და ეკკლესიებში. (10—7)

დაიბეჭდა და ასეიდება

საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში

## რამდენიმე ლექსი

ნიკოსი

ფასი ერთი შაური.

ვინც არა ნაკლებ ოცი ცალს იყიდის, მას დაეთმობა მანეთზე 30 პროცენტი.

უმთავრესი საწყობი თბილისში, იოსებ იმედაშვილის წიგნის მაღაზიაში.

ადრესი: Тифлисъ, Георгіевская ул, книж магазинъ І. Э. Имедашвили.


## ახალი ამბავი

** მისი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ბიძაშვილის მეუ-

ქეთის მაზრის წინამძღოლი თავ. სვიმონ გუგუნავა დანიშნულ იქმნა მომრიგებელ შუამავლათ ლეჩხუმის მაზრაში.

** **პოლიტეხნიკუმის საქმე ტფილისში.** როგორც სარწმუნო წარმოებიდან სჩანს, ა) ერთდროებითი შემწეობა ტფილისის მომავალ პოლიტეხნიკუმისათვის აღმოუჩენიათ: ქ. ტფილისს 100,000 მან. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებას 50,000 მ., ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებას 10,000 მ., ტფილისის საკომერციო ბანკს 30,000 მან., ნავთის წარმოებელ ამხანაგობას ძმ. მირზოევებისას 25,000, ძმ. თუმაევთ 10,000., ქ. ოზურგეთს 1000 მ. ხმოსან ტაიროვს 1000 მ. და ბ. ლესევიჩს 101 მ., ბ) ყოველწლიური შემწეობა: ქ. ტფილისს 30,000 მ., ბათომს 2000 მან., ქ. ქუთაისს 1,000 მ., და ბათომის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებას 20* მ., გ) თუმცა მონაწილეობა ვერ მიიღეს ნივთიერ დახმარებაში, მაგრამ თანაგრძნობით მოეკიდნენ პოლიტეხნიკუმის დაარსების დედა აზრს შემდეგი ქალაქები: ფოთი, პეტროვსკი, განჯა, თემირ-ხან-შურა, ნოვოროსიისკი, პიატიგორსკი, არმავირი, ნახიჩევანი, (ერევნის გუბერნია), დუშეთი, კუბა, ყიზლარი, მოზდოკი და ოდურგეთი; დ) კითხვა შემწეობის აღმოჩენის შესახებ გადაწყვეტილია ჯერ შემდეგს ქალაქებში: ალექსანდროპოლსა, ნუხასა, და შუშაში, და ე.) სტავროპოლის ქალაქის გამგეობამ გადაწყვიტა აღმოუჩინოს პოლიტეხნიკუმს ნივთიერი დახმარება და მოიწერა, რომ შეიტანს მას ამ წლის გასავლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

ამ გვარად ერთ დროებითი შეწევნის რაოდენობა უდრის სულ 237,101 მანეთს, ხოლო ყოველწლიურისა 33,200 მანეთი.

** **სამოსამართლო დაწესებულებათა შენობის საფუძვლის ჩაყრა ქუთაისში.** 10 აპრილს ქ. ქუთაისში ჩაჰყარეს სამოსამართლო დაწესებულებათა შენობების საფუძველი. შენობების ასაგებ ადგილის კურთხევასა და საფუძვლის ჩაყრაზე დაესწრნენ ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე სენატორი ტ. ს. ბ. ს. ვრასკი და პალატის პროკურორი დ. ს. ს. გ. ვ. ვასილიევი.

** **მემამულეთა სხდომები.** 14 აპრილიდან კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში გაიმართება მემამულეთა სხდომები იმ კითხვის გასახილველად, რომ ყველგან კავკასიაში სავალდებულო შეიქმნეს ჭირიან საქონლის დახოცვა.

** **ამერიკის ვაზის მოვლა-მოშენება.** მიწად-მოქმედების მინისტრის ბრძანებით ერთი თვით გაგზავნილ იქმნენ უფროსი აგრონომი სტაროსელსკი და ექსპერტის თანაშემწე ლუპანინი ბესარაბიაში, სადაც მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ ამერიკულ ვაზის მოვლა-მოშენებისათვის მუშაობის გეგმების შედგენაში.

** **ბაღოსნების კრება.** ამ წლის შემოდგომაზე (5-დან 20 დეკემბრამდე) მიწად-მოქმედების მინისტრის ნება-რთვით გაიმართება ტფილისში ბაღოსნების კრება იმის გამოსარკვევად, თუ რა მდგომარეობაშია დღეს კავკასიაში ბაღოსნობა და მასთან მოკავშირე მეურნეობის დარგები. და აგრეთვე თუ რა ზომები უნდა მიღებულ იქმნეს მათ გასაუმჯობესებლად.

** **ბ.ბ. მეურნეებს.** შემდეგ იმისა, რაც გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოცხადებული იყო, რომ მსურველთ შეუძლიანთ იყიდონ აბრეშუმის თესლი და თუთის ხის თესლები ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში. სასწავლებელს მოუვიდა ასზედ მეტი თხოვნა და მასთან ფულიც „გამომიგზავნეთ თესლებიო“ მოგვწერეთ დარიგებაო და სხვა.

სულითა და გულით მსურველი ვარ ვემსახურო ყველას, სანამდისინაც შემეძლება, მაქვს პატივი პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცლის“ შემწეობით ვაცნობო ყველას, რომ თესლები, ნერგები და თუთის ხის თესლები სულ გაურიგდათ იმათ ვინც, ადრე გამოიწერა. ეხლა სასწავლებელს სრულებით აღარა აქვს სამწუხაროდ. ბოდიშს ვიხდი ყველასთან, ვისაც თავის დროზედ პასუხი ვერ მივეცი მათ წერილებზე, მაგრამ ფიზიკური საშუალება არ იყო ყველასთვის მიმეწერა ბარათი და მასთან დარიგებაც გამეგზავნა. თავის დროზედ ვეცდები „ცნობის ფურცლის“ შემწეობითვე ყოველთვის მივაწოდო მსურველთ დროს და საქმის შესაფერი ცნობები.

ნ. მკურნალი

** **უწყლობა ნავთლუღში.** ეს ორი წელიწადია, რაც მდინარე მტკვარმა იცვალა თავისი მიმართულება და მოაწვა ნავთლუღს. ამ ჟამათ ნავთლუღის მიდამოში მტკვარი სამ ტოტათ მოდის. ყველაზე დიდი ტოტი ჩამოუდის ნავთლუღს გვერდით. შარშან დიდმა წყალმა სრულებით წაახდინა ნაპირები მტკვრისა ისე, რომ შეუძლო იყო ხალხისათვის და საქონლისათვისაც წყალზე ჩასვლა. წელს უარესობა მაგ მხრივ, თითქმის სამი საჟენის სიმაღლეა პირდაპირი ჩასასვლელი—მოქმული დიდი წყლისაგან, რომ ჩავიდეს და წყალი ამოიტანოს. ამის გამო ბევრი თავ აღებული გამბედავი შარშანაც და იმედი წყლის დიდობაზე წელსაც ყარაიაზს ძალა უნებურად ნახავს. საქონელს ნუღარ იტყვით, ორ სამ ვერსზე რეკავენ ნავთლუღში, რომ წყალი დაალევინონ. არ ვიცი, რას უყურებს ქალაქის თვით მმართველობა, ნუ თუ ეს იმისი საქმე არ არის, ბ-ნი ინჟენერები და ტეხნიკები რომ ჩამობრძანდებიან ხოლმე, განა მათი მოვალეობა არ არის ყურადღება მიაქციონ. ამას გარდა ქალაქი განა მოვალე არ არის ფანტანის (ავჭალის) წყალი გამოუყვანოს ნავთლუღელს, შესაძლოა კაცმა იგულისხმოს, რომ ნავთლუღი არ გამოისყიდავს ხარჯს მილის წყალზე დახარჯულს, მაგრამ რა ქალაქია და ან მმართველობა, რომელსაც მამობრული მოღვაწეობა უნდა უძღოდეს წინ და არა სარგებლობა და ისე მიხედოს ხალხს, რომლის კეთილ დღეობა და ბედნიერება ხელში უჭირავს. წარმოიდგინეთ, ნავთლუღი ამ ქალაქის უთაურობის გამო იძულებული არის სვას ის წყალი, რომელშიაც მთლად ქალაქის უსუფთაობა, ჭუჭყი და ყოველი დამაზიანებელი კაცის ჯანისა ჩადის შიგ. ამის გამო აქ ხშირად შეხვდებით იმგვარ ავადმყოფობას, რომლის გამართლებით წყლის უსუფთაობას მიეწერება, მაგალითებრ: სახადი (საოფლე) მუცლისა, ანუ სათლიჯანი, ციებ, კუჭის ავადმყოფობა და სხ. ვგონებ ქალაქის ყასაფხანაც ძალიან საჭიროებს წყალში, რომ გამოიყვანონ ყასაფხანაში და ნავთლუღში ერთ წყლის დასარიგებელი მილი დადგან, ძალიან კარგი იქნება. თუ წყლის ნაკლებულებას გრძნობს ქალაქი, ისევ ის სჯობია, რომ რამდენიმე წყლის ამოსაღები მანქანები ქალაქში დადგან და მით მტკვრის წყლით ქუჩები რწყას და ხალხს, ისეც ბევრს ბედნიერებას მოკლებულ ხალხს სუფთა წყალი ასვას.

ნ—ი ექიმი

** **სოფ. დაბლა საქარა** (იმერეთი). **პარაკლისი აკაკის კანკურნებისათვის.** მოვიდა თუ არა აქ ამბავი ჩვენის საყვარელის პოეტის აკაკის ავადმყოფობის შესახებ, ამ სოფლის მღვდლის ფილიმონ ბარბაქაძის მიერ, აღდგომის მეორე დღეს, ადგილობრივ წმ. გიორგის ეკკლესიაში, წირვის შემდეგ, გარდახდილ იქმნა პარაკლისი პოეტის განკურნებისათვის. პარაკლისის შემდეგ მ. ფილიმონ ბარბაქაძემ მოკლედ აუხსნა საზოგადოებას პოეტის შრომა-ღვაწლი და სიტყვა იმით დააბოლავა, რომ აკაკი სკოლაა მთელის ჩვენის ერისა, რომ ჩვენ მისი სახელით ვამაყობთ და შემდეგშიაც ვიამაყებთო.

დიდის მადლობის ღირსია მ. ფ. ბარბაქაძე პარაკლისის გადახდისათვის, რითაც მან ახლო-მახლო სოფლების მღვდლებს მისაბაძი მაგალითი უჩვენა.

— **ისევ აკაკის პარაკლისზე.** ს. ჭალატყის (იმერეთი) ჯვარცმის ეკკლესიის მღვდელმა მ. სოგრატი ფერაძემ აღდგომის მესამე დღეს სწირა და პარაკლისიც გარდაიხადა თ. აკაკის მორჩენისათვის. მ. ს. ფერაძეს მადლობას ვსწირავთ შრომის მიღებისათვის.

სვიმონ საქარელი

** **დ. ლანჩხუთი** (გურია). **ზნე-დაცემული ქალი.** ჩვენს დაბასაც გაუჩნდა ერთი ზნე-დაცემული მანდილოსანი. ამ ქალბატონმა თავის გარყვნილობით ბევრს აალებინა ხელი ოჯახზე და პატიოსნებაზე, ბევრს დაათმობინა საკუთარი ცოლშვილი და ამიტომ ბევრ ოჯახში დაარღვია მყუდროება.

ეს მანდილოსანი ხშირად მოგზაურობს სხვა-და-სხვა ქალაქში, შემდეგ ბრუნდება სოფელში და ავრცელებს ხალხში ათასგვარ ავადმყოფობას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ გარემოებას შესაფერი ყურადღება მიექცევა, ვისგანაც ჯერ არს.

** **ს. რგანი.** (იმერეთი). **უსკოლობა.** დ. ჭიათურადან 4—5 ვერსის მანძილზე მდებარეობს სოფელი რგანი, სადაც ორას კომლზე მეტი მცხოვრებია, მაგრამ მათ საუბედუროდ, ერთი სკოლაც არა აქვსთ. წასული წლის შემოდგომაზე ამ სოფელში მობძანდა იმერეთის ეპარქიის დროებით მმართველი ყოვლად სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოსი ბესარიონი; მისმა მეუფებამ ურჩია ხალხს სკოლის გახსნა, მაგრამ ხალხის უმეტესმა ნაწილმა უარი განაცხადა. ამ წლის თებერვალში ერთმა წერა-კითხვის მცოდნემ ათიოდე ბავშვი შეკრიბა სასწავლებლად რგანში, მაგრამ სამწუხაროდ მალე მოეწყინა იმ დალოცვილს და სწავლება უკუ აგდო.

** **ს. ალი** (ქართლი). **უსუფთაობა.** ყველა სოფელი განთავისუფლდა უსუფთაობისაგან და ჩვენს სოფელს კი არა ეშველა რა და არა. დადგა გაზაფხული, მოატანა სიცხეებმა და ჩვენს სოფელშიც სითბოების შემწეობით, ბოსლის უკან დიდ გორასავით ზამთრის გროვა პატიველიდგან დაყოლილი თოვლი რომ გადნა, გამოჟვანა, შავი მქვარტლის ფერი მყრალი წვენი და მოედო მთელს სოფელს ბაცილების გამაცოცხლებელი სუნი, ბასილების და ვასილების-კი მომაკვდინებელი; ერთი სიტყვით არ შემოესვლება კაცს ჩვენს სოფელში ამ ბედნიერ დღეებში, სულ დაეკარგება პურის ჭამის მადა სიმყრალისა გამო. თუმცა გვყავნან სოფლის მოხელენი, მაგრამ, რადგანაც თვითონ სხვაზე მეტი პატივები აქვთ, ამის გამო სხვასაც ვერ ატანებენ ძალას, რადგან ჯერ-ჯერობით ამ ჟამად არა სცალიანთ, ჯერ ვენახის მუშაობაა, მერე თესვა, მერე თოხნა იქნება, მერე მკა, მერე გადაუწყდებათ და მერე თოვლიც მოუსწრებს პატივება დაიფარება და სუნიც დაიკარგება. ამ დღეში ვართ ჩაცვივნულნი ალებლები და ვიცით კი მაზრის ექიმი რას აკეთებს, რატომ სისუფთავის განკარგულებას არ ახდენს?! დალოცა ღმერთმა ბუნების საქმე, რომ ყველა უდიერი სენი გადამდებათ გაუჩენია და აქ თუ ხოლერა ან ჭირი გაჩნდა მოხარული ვიქნებით მოხელეებსაც რომ ესტუმრებათ...

ალელი მედავითნე

** **ხოპი. მადლობა შემოწირულებისათვის.** ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით შემაძლებინოთ დიდი მადლობა გამოუცხადო ჩემდამი რწმუნებული ნოჯიხევის (ხოპის) ორკლასიანი ნორმალურ სკოლის სახელით პატივცემულ ახალგაზდას ბ. ლევან ბურდღუს ძე ხუხის, რომელმაც შემოსწირა ზემოხსენებულ სკოლას სურათი „დიდება საქართველოს ეკკლესიისა“, შედ. და გამოცემული საბინინის მიერ მშვენიერს ვარაყიან ჩარჩოში. ასეთი შემოწირულება ფას დაუდებელი და ძვირფასი განძია ჩვენი სკოლებისათვის!

მმართველი სკოლისა ვლადიმერ იესეს ძე გაგუა

** **დ. ცხინვალი.** აქ ძალიან ცუდი დარებია ამ ბოლო ხანებში: სულ სწვიმს და ქარი ჰქრის. აღდგომა დღეს თოვლი მოვიდა და აგერ მესამე დღეა, რაც სთოვს. ლიტონიაზე ძალიან ცუდი დარი იყო: თოვდა და ქარი [illegible]; ლიტონიას [illegible] მზარეული [illegible], რომ ქართული გალობა არა ყოფილიყო, რომელმაც ძალიან გვასიამოვნა. ეკკლესიაში ჰგალობენ ხანდახან აქაურ ორ-კლასიან სასწავლებლის მოსწავლეები მასწავლებლითურთ, მაგრამ ჰგალობენ რუსულად და მრევლს-კი, უმრავლესობას, არ ესმის რუსული. ამიტომ, როდესაც ლიტონიაზე მოგვესმა ნამდვილი ქართული გალობა, რომელიც ძალიან იშვიათია ხოლმე, სიამოვნების ჟრუანტელმა დაგვიარა. ჰგალობდნენ ვასილ ბასიშვილის ლოტბარობით. გალობა მწყობრი და სასიამოვნო იყო. სასურველია, რომ ცხინვალის ღვთის მშობლის ეკკლესიის წინამძღვარი ბლაღოჩინი მამა მანასია კაპანაძე ეცადოს, რომ მუდამ ამ ეკკლესიაში ქართული გალობა იყოს. ეს ძლიერ სასარგებლოა და სასიამოვნოც მრევლისათვის. წირვა-ლოცვაზე მუდამ ბევრი ხალხი ივლიდა და მოცლილ დროს სამიკიტნოების მაგიერ ღვთის ვედრებაში გაატარებდა.

ცხინვალელი

** **ფოთი. ისევ საზარელ შემთხვევაზე.** რუსის საზოგადოების გემი „ალექსი“ 30 მარტს, საღამოს უნდა ჩამოსულიყო ფოთის ნავთ სადგურში, მაგრამ რადგანაც სოხუმში დაგვიანებია გემს ამიტომ გემის უფროს დეპეშა მოუცია ფოთის აგენტისათვის, რომ ნავთსადგურში ვერ შემოვალო და ფილუკები (ნავები) მოამზადეო. ამისთანა შემთხვევაში სხვა დროს წინანდელი აგენტი ბ. შესტერიკოვი, თუ გემი ვერ ჩამოვიდოდა ნავთსადგურში ფილუკებს აღარ უშვებდა ბოლაზზე, რადგანაც რუსის საზოგადოებას არა ჰყავს ფოთში ფილუკები, როგორც სოხუმსა და ოჩამჩირაში, გემი „ალექსი“ შემოვიდა ბოლაზზე და იქვე გაჩერდა; აგენტმა განკარგულება მოახდინა, რომ ერთი თავისი ფილუკა და სხვა გარეშე პირებისა, გაგზავნა გემისკენ. მიადგა თუ არა პირველი ფილუკა გემს, მაშინათვე თერთმეტი კაცი ჩასვეს. ის რო მოსცილდა მეორე ფილუკა მიადგა და გემიდან გარდმოუშვეს ფოთში მიმავალი მგზავრები და როგორც აღმოჩნდა გამოძიებიდან მგზავრებს ჰყრიდენ ფილუგაში, როგორც შეშასა. ერთს ფილუგაში 24 კაცი ჩაყარესო. რო მოსცილდა გემს ფილუგა, რადგანაც ძალზე დატვირთული იყო ფილუგა უეცრივ გადაბრუნდა და 24 კაცი ჩაცვივდა ზღვაში. რის ვაი ვაგლახით კერძო ფილუკის პატრონმა ცხრა კაცი გადაარჩინა და დანარჩენი კი იმსხვერპლა ზღვამ. ის დალოცვილიშვილი, რომ არ გამოხმარებოდა ყველა დაიხრჩობოდა, ამის მნახველ მგზავრებმა ასტეხეს ისეთი ყვირილი და მუქარა, რომ გემის უფროსი გაიქცა და სადღაც დაიმალა. მოკვლას უპირებდნენ მაგრამ ჟანდარმის პოლკოვნიკმა ბ-ნ ქორქაშვილმა ძლივს ძლივობით დააშვიდა ხალხი ფოთში მიმავალი. მგზავრები ყოფი-

ლან 300 კაცი და ორი ათასი ფუთი ბარგიც. ამ უბედურების შემდეგ გემი შამოვიდა ნავთსადგურში დამოჟნის პოლიციისა და გამომძიებლის ძალ დატანებით ადვილი წარმოსადგენია, რა დღეს დააყენებდა ხალხი და დამხვრჩვლის ნათესავები გემის უფროს და აქაურს აგენტს, რომ პოლიცია არ გარეულიყო ამ საქმეში. აღელვებას ხალხისას ძლივ ამაგრებდა პოლიცია. „я не хотѣлъ войти въ портъ, потому что хотѣлъ выиграть время и пораньше попасть въ Батумъ“, ამ დამღრჩვალ კაცებში იპოვეს 7 კაცი. საწყალები ანკესებით ამოათრიეს თევზისავით. დანარჩენები ვინიცის ზღვამ საით წალეკა, რუსის საზოგადოების გემებს ჩვენს ნავთსადგურში დაუჭერიათ პირველი ადგილები და პირობაც აქვთ ქალაქებთან, რომ ყველა მორიგი გემები უნდა შამოვიდნენ ან კიდევ ვალდებულნი არიან პატარა გემები იყოლიონ მგზავრების გადასაყვანათ ნაპირზე, მაგრამ ბოროტი დაუდევრობით თუ სხვა რამ მიზეზით ესენი არც ერთი აღარ არის იმ ოჯახ დაქცეულებს თუ ფოთის ნავთსადგურში მოსვლა აღარ უნდათ, რათ ჰყიდიან ფოთზედ სამას ოთხას ბილეთებს და ბარგს რად ღებულობენ?!

ხოშტარხან

# თეატრის მატიანე

**ქართული სახალხო წარმოდგენა.** 10 აპრილს ავჭალის იაფ-ფასიან სასადილოში ადგილობრივ სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს ბ. კ. მესხის ისტორიული დრამა „თამარ ბატონიშვილი„. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენა საქმის დღეს გამართეს, თეატრის დარბაზში აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი და ტევა აღარსად იყო. სცენის მოყვარეთა სასახელოდ უნდა ვსთქვათ, რომ როლები გვარიანად შეესწავლათ; განსაკუთრებით სცენის მოყვარე მანდილოსნებს არ დაეშურათ შრომა-მეცადინეობა თავიანთი როლების შესასწავლად. კიდეც ამიტომ წარმოდგენამ საზოგადოდ მწყობრად და მოხდენილად ჩაიარა, თუმცა, სამწუხაროდ, ერთგან-ორგან გვარიანად დაარღვია ანსამბლი ორიოდე მსახიობმა.

მოთამაშეთა შორის ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო „შალვას“ როლის აღმასრულებელმა, სულ ოცდა-სამიოდე წლის ყმაწვილ-კაცმა, რომლის დაკვირვებულმა, გონივრულმა და მოსაზრებულმა თამაშმა სწორედ მოხიბლა საზოგადოება და მრავალს ცხარე ცრემლიც დაალვრევინა. ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ყმაწვილი კაცი სწორედ ერთი იმ რჩეულთაგანია, რომელთათვისაც ბუნებას უხვად მიუმადლებია არტისტული ნიჭი და რომელნიც მომავალში სცენის დამამშვენებელ მნათობებად ჰხდებიან; ის-კი არა და, სრულიადაც არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ დღესაც-კი, როდესაც ამ ყმაწვილს თითქმის არავითარი საარტისტო გამოცდილება არ მიუძღვის, დღესაც-კი დიდად დაამშვენებს იგი ჩვენს მთავარ სცენებს. განსაკუთრებით საუცხოვო დასანახავი იყო ეს ყმაწვილი ციხეში, სადაც მან, როგორც შალვამ, სრულიად მოულოდნელად ნახა ოცი წლის შემდეგ თავისი დაკარგული მოხუცებული დატუსაღებული ღონე-მიხდილი მამა, ელიზბარი. მთელს დამსწრე საზოგადოებას ელექტრონის ჟრუანტელმა დაუარა ტანში და ირგვლივ სამარისებური მდუმარება ჩამოვარდა იმ დროს, როცა შალვამ მოხუცი ტუსაღი თავის მამად იცნო, გულამოხეთქით შესძახა „მამავ, მამაო!“ ელვის სისწრაფით მივარდა მას და გაშმაგებით შემოეხვია. აუარებელი ცრემლი დაიღვარა ამ დროს თეატრის დარბაზში. აქ უნდა დავძინოთ, რომ შალვას მოქმედება ამ დროს ერთი-ორად მიმზიდველი და მომხიბვლელი გახდა. „ელიზბარის“ მოხდენილმა თამაშმა, რომელმაც აგრეთვე დიახ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე, ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ, ეს სცენა საგანგებო რამ იყო და მას თვით „ბრწყინვალე საზოგადოებაც“ არ დაგიწუნებდათ. კარგად შეასრულეს თავიანთი როლები სამივე მანდილოსანმა. კარგნი იყვნენ თამარიც, რუსუდანიც და ელისაბედიც; თუმცა ესენი რასაკვირველია, ბევრად უკეთესნი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ჯერჯერობით გამოუცდელ მსახიობ ქალთ მაგდენსაც ვერ მოვთხოვთ. არ იყო დასაწუნი არც მეფე, მით უმეტეს რომ ამ როლის ამსრულებელს აშკარად ეტყობოდა, რომ სწორედ პატიოსნურად და გულმოდგინედ მოჰკიდებოდა თავის როლს, როგორც შეჰფერის ნამდვილ ინტელიგენტს. არა უშავდარა არც დანარჩენ მსახიობ[?] მხოლოდ ივანე არღუთაშვილის როლის აღმასრულებელი, ცოტა არ იყოს აჭარბებდა, გადამეტებით იკლაკნებოდა და ამის გამო ძალიან ხშირად უადგილო სიცილს ჰგვრიდა საზოგადოებას. გარდა ამისა, საყვედური უნდა გამოვთქვათ კიდევ მეორე ხარისხოვან როლების ამსრულებლებზე, რომლებმაც მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდეს შალვა უკანასკნელ მოქმედების გათავებისას, როცა შალვა მეფეს უნდა მივარდნოდა ამოღებულ ხმლით; საჭირო იყო შეეკავებიათ შალვა და არ მიეშვათ მეფეზე, მაგრამ მას ხელიც არ ახლეს, თუმცა შალვამ ათას ნაირად ანიშნა მათ, ხელი მომკიდეთო; ამის გამო მხოლოდ სასაცილო გახადეს შალვას ძახილი: „გამიშვით, გამიშვითო“!

მიუხედავად ყოველივე ამისა, წარმოდგენის მხრით საკმარისად დავკმაყოფილეს მისმა გამართველებმა დ ვუსურვებთ მათ კიდევ მეტ წარმატებას, რომელიც ყოველ შეგნებულ ქართველისათვის დიახ სასიამოვნო იქნება, მით უმეტეს რომ, როგორც გუშინწინდელმა წარმოდგენამ დაგვარწმუნა, ეს წარმატება კულტურულ გავლენას იქონიებს აუარებელ ხალხზე, რომელსაც უკვე საკმარისად აღძვრია თეატრის სიყვარული, რაიცა, თვის მხრით, ჩვენი ხალხის კულტურულ ამაღლებას მოასწავებს.

მაგრამ, სამწუხაროდ, არც ამ წერილის დამთავრება შეგვიძლია ისე, რომ წარმოდგენის გამგეობას დიდი საყვედური არ გავუმეოროთ. გარდა იმისა, რომ სასცენო მოწყობილება კიდევ სავსებით და თავის დროზე არ დაემარაგებიათ და ანტრაქტების დროს ეძებდნენ დამსწრე საზოგადოებაში სცენისთვის საჭირო ნივთებს, რაც მრავალ დამსწრეთაგან არა სასურველ დაცინვას იწვევდა, გარდა ამისა კიდევ შემდეგს გარემოებაზე უნდა მივაქციოთ ხსენებულ გამგეობის განსაკუთრებული ყურადღება. საქმე ის გახლავთ, რომ დამსრე საზოგადოებაში „ცერემონიმეისტრობდა“ და ვითომ წესიერებას იცავდა ერთი ახალგაზდა ვაჟბატონი, რომელიც წესიერების დაცვის ნაცვლად, დამსწრეთმოურიდებლად ექცეოდა. ურიგო არ იქნება, წარმოდგენის გამგეობა დამსწე საზოგადოებას უფრო თავაზიანსა და ინტელიგენტ პირთ მიუჩენდეს წესიერების დასაცველად, და არა ისეთ ყმაწვილ კაცთ, რომელთაც „ხელში კეტი თავში.....“ და რომელნიც მხოლოდ იმისთვის, რომ ხალხს თვალებში შეაჩხიროს თავისი „ფიგურა“ მზად არის თეატრის დარბაზის შუაგულ მაღალი კიბე დაიდგას და ამ კიბეს ზედ თავზე წამოსკუპდეს, მაღლიდან თავმომწონედ გადმომცქერალი. თუ მაინცა და მაინც შეუძლებელი იქმნეს ასეთ პირთა სრულიად თავიდან მოშორება, სჯობს ისინი სცენაზე ათამაშონ, საიდანაც მათ თავიანთი ფიგურის გამოჩენაც უკეთესად შეეძლებათ და დამსწრე საზოგადოებასაც ველარ შეურაცყოფენ. ყოველივე ეს განსაკუთრებით საჭიროა, სახალხო წარმოდგენაზე, რომ ხალხს წარმოდგენის გარდა მაღალი ზნეობის მაგალითის ნახვაც შეეძლოს ინტელიგენტთა წრეში.

—ნე—ი

---

**ს. სადღლაშენი** (ქართლი). 8 აპრილს ჩვენს პატარა სოფელში გამართული იყო წარმოდგენა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კრუჟკის სასარგებლოდ. წარმოადგინეს გ. ერისთავის ორ მოქმედებიანი კომედია „ძუნწი“, რომლის შემდეგაც დადგმულ იქმნა ცხოველი სურათები.

შევნიშნავთ, რომ ეს კომედია რამდენჯერმე იყო დადგმული ჩვენი სოფლის სცენაზედ და ერთხელვე გამეორება ერთისა და იგივე პიესისა, მე მგონი მეტი უნდა იყოს და ხალხს ხალისს წაართმევს და კვლავ აღარავინ მოვა. საჭიროა უფრო ახალი პიესები დასდგან, რომელნიც უფრო შეეფერებიან თანამედროვე ცხოვრებას და რომელნიც მოიძებნება რ. ერისთავისა და სხვათა ნაწერებში.

მოთამაშენიც ძალიან კოჭლობდნენ და სრულიად ცოდნა თეატრის ეტყობოდათ. უმთავრეს გმირს პიესისას ძუნწს ჩვეულებრივი სომხური ტანისამოსის მაგიერ პატიმარის ტანისამოსი ეცვა და არ მიაგვანდა სომხის ტიპს. ამასთანავე ხმა და კილოც ძუნწს სრულიად სომხისა არ ჰქონდა, ის უფრო სოფლელ ქართლელს ჰბაძავდა, ვინემ სომეხს. საჭიროა ამისთანა წარმოდგენებში ერთი მაინც არის ხეირიანად თამაშობდეს ხოლმე და იმ აზრით არ იხელმძღვანელონ რომ სოფელში ესეც კარგია, გლეხებს ამაზე მეტი არ უნდათ.

უფრო კარგი იყო ბოლოს გამართული ცხოველი სურათები. ხალხი ბოლომდ დაესწრო, უმეტესად გლეხობა. სრული მადლობის ღირსია წარმოდგენის მმართველი კნ. მაკ. ამირეჯიბისა. ვუსურვებთ რომ კვლავაც ესეთი უნარი და ცოდნა გამოიჩინოს.

ალ. სანინი

# სამეურნეო ცნობანი

**რიგიანათ მიწის ხვნა გვით.**

თითქმის მთელს ქუთაისის გუბერნიაში მიწას ხვნენ-ჯავით და სამოცმა თუ ოთხმოცმა ამ ორ წელში შემოიღეს გუთანი (ნაყიდი აქვთ ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში). საზოგადოდ მუშაობის დაწყება შემოღებულია ნაადგომევს, ხოლო ზოგიერთ ადგილზედ ხვნენ აპრილის ოც რიცხვამდის და ზოგნი მაისში და ივნისშიაც, ესე იგი, ზოგნი ადრე გაზაფხულზედ და ზოგნი გვიან, ან ზაფხულშიაც. სიღრმე კვალისა თითქმის ყოველგან ერთნაირია— ორ ნახევარისაში ვერშოკი; თუ მიწა თიხიანია, სილაა, შეიძლება გაატანოს სამნახევრამდისაც. ძალიან ხშირად შეხვდებით სოფელში, რომ მიწის დახვნის შემდეგ ერთი კვირაც არ გაივლის თესვას, იწყებენ. ამ ჩამოთვლილ მეურნის მოქმედებაში ისეთი შეცდომები იმალება, რომ გასაოცებელია, რატომ ღებულობენ იმ ჭირნახულსაც, რომელსაც აძლევს მიწა.

რადგანაც მიწა იხვნება გაზაფხულზე, თესვამდის ერთი თუ ორი კვირით წინ, ველური ბალახები არ კვდება და სანამდისინაც თესლი ამოვიდოდეს— ბალახები ერევა და მცენარეს ამახინჯებს. ამას ხელს უწყობს ბელტები, რომლებშიაც იმყოფება ველურ ბალახების ძირები, რომლებიც კიდევ უკეთ ხარობენ. რადგანაც ბოლომდ აძლევენ უსაჭიროეს პირობებს— ჰაერს და სითბოს. ველური ბალახები ხარობს და ამასთან მიწა ხმება. ვთქვათ, რომ ამ უკუღმართულ დახვნამ ველური ბალახები გაწყვიტა (ძნელი წარმოსადგენია კი...) მაგრამ უდიდესი უბედურება ის არის, რომ ჩვენი კავი ბევრს უხნავ მიწას იტოვებს (რადგანაც მიწას აურის უხნავ ადგილზე) ამის შედეგი ის არის, რომ ა) სულ უბრალოდ ცდება ამდენი უხნავი ადგილი, რარგანაც აქ არავერი არ ამოვა დათესილი, ბ) და ველური ბალახი კი მეფობს; ეს აძლევს თესლებს, რომელიც გადააქვს ქარს დათესილ ადგილზედ, სადაც მცენარე ამოდის, აქ თესლები ამოდის და მსხვერპლობს სამეურნეო მცენარეებს.

გარდა ამისა აი კიდევ რას შევნიშნავთ. როცა ერთ კვირეში შემდეგ დახვნის თესლები ითესება, ბევრი მარცვალი უნაყოფოდ იკარგება იმიტომ, რომ აურილი მიწა ნელ-ნელა იწევა ქვევით, იტკეპნება და თან მიაქვს თესლებიც ქვეით. შემდეგ მაგრდება მიწა და ვერ ამოდის თესლი, კიდევ უარეს შვრება ის, რომელსაც ჯერ დათესს და შემდეგ დახნავს.

რადგანაც ჩვენდა საუბედუროდ ჯერ კავს ვერ ვშორდებით (და იმას რომ დრო მოსპობს ამაში ეჭვი არ არის) მოუცილებელი საჭიროა არის მოვიხმაროთ მაინც რაც შეიძლება ხეირიანად. რიგიანად მიწის დამუშავება სასიცოცხლო მდგომარეობს შემდეგში. ა) თავის დროზედ დახვნას. ყველას შემჩნეული აქვს ჩვენში გვალვა. მოსაზრებიდან ამ მოვლენისა მოუცილებელი საჭიროაა ვსთესოლი მიწის ხვნა შემოდგომით შემდეგ ჭირნახულის შეგროვებისა. [როცა შე]მოდგომაზე მიწა დაიხვნება, შინდვრებზედ ბელტებს [illegible] ვებში, ამ ბელტებს დაზამთრება. ბელტებში [illegible] [illegible] რებს მოჰკლავს და დაალპობს, მიწა რითი ნოყიერდება. გარდა ამისა ბელტებში, მიწაში, იმყოფება ისეთი საკვები ნივთიერებები, რომლებიც მცენარეებისთვის მოუცილებელი საჭიროებას წარმოადგენს, მაგრამ რადგანაც ისინი გამაგრებულნი არის, მცენარე ვერ სარგებლობს. თუ რომ დახვნილი მიწა დიდხანს იქმნება დარჩენილი დათესვამდის, რა ლაპარაკი უნდა, რომ ის ნივთიერება დაიშლება და გაასუქებს მიწას. თუ რომ დათესვამდის რაიმე მიზეზით შემოდგომაზედ ვერ დახვნენ მიწას, მაშინ გაზაფხულზედ უნდა დახნან დათესვამდის ერთი ან თვე-ნახევრით წინ. თუ რომ დათესვამდის ბალახები ამოვიდა, უნდა დაფარცხონ მიწა. ერთი სიტყვით მიწა უნდა დაიხნას დიდი ხნით წინ დათესვამდის.

ბ) კვალები უნდა იყოს უსათუოდ სწორი, წინააღმდეგ შემთხვევაში კვალები ერთმანეთს ვერ შეუერთდებიან და უხნავი მიწა ბევრი დარჩება, რაიცა დიდი მავნებელია.

გ) ეცადენით კავით სიღრმე მოუმატოთ. მომატება შეიძლება, თუ რომ ერთი და იგივე მიწა ორჯელ დახნით. ჩვენში გავრცელებულია ის შემცდარი უსაბუთო აზრი, ვითომ სიღრმე მავნებელი იყოს მცენარეებისთვის. არასოდეს. გამოსცადეთ შემოდგომაზე მიწის ორჯელ დახვნა, ოღონდ ბელტებს თითონ ნუ დაამტვრევთ და ნახავთ რა მოსავალს მისცემს. გაზაფხულზე ღრმად დახნული დიახაც მავნებელია და შემოდგომაზე ხომ არ ხნავენ ჩვენში, მაშასადამე დაკვირვებაც ცოტა ან სულ არა აქვთ ამის მხრით. საჭირო არის მხოლოდ მეტი შრომა ვიდრე ეხლა და მოთმინება და ჩვენი ბუნება გაათრკეცებს მოსავალს.

ნ. მკურნალი

# სამკურნალო დარიგება.

**ქუნთრუშას რჩევა.** ქუნთრუშა იწყება ძარღვებისა და ძვლების ტეხვით, მაგრამ ხშირად პირდაპირ ციებითაც. თითქმის ავადმყოფი ყოველთვის ძრიელ სუსტად ჰგრძნობს, სჩივის თავის ტკივილზე და ყაბზობაზე, გულის ძგერაზე, სუნთქავს ნელა და ოხვრით, შესახედავათ იგი ყვითელია და მკრთალი, ყველა ეს გრძელდება, ვიდრე, დაახლოებით მესამე დღეზე, მუწუკებს არ გამოაყრის, ამასთან ავადმყოფი ჰგრძნობს ხელ ფეხში ჩხვლეტავს. ამ დროს ვამოსდის მჟავე ოფლი და ეძლევა ძრიელი სიცხე. ამის გარდა უჩნდება პირღებინება, ფაღარათობა, უძილობა, ბოდვა და სხვ... მუწუკები გამოდის კისერზე, გულზე, წელზე, მუცელზე და ხოლო იშვიათ შემთხვევაში თავზე და პირისახეზე. მუწუკები 4-5 დღის უკან ხმება და ცვივა. ხანდისხან ავადმყოფს დასცვივა ხოლმე თმა და ძვლები და ახალი ამოსდის. ქუნთრუშა ძრიელ გადამდები ავადმყოფობაა; ერთად-ერთი, რასაც შეუძლიან სარგებლობა მოიტანოს, ფარეზობა და კეთილ-სინიდისიერი მოვლაა. ავადმყოფი ლოგინში უნდა იწვეს, უნ-

და ვეცადნეთ სუფთა ჰაერისათვის. ვერიდოთ ყოველს თბილებს და ძალათი ოფლის გამოყვანას, შეახვიონ ავად-მყოფი ცივს ტილოში და აბანონ ცივ წყალში დღეში 1-2-ჯერ. სასმელათ ლიმონათი და გემაგრილებელი სასმელები, ფორთოხლის წვენი და სხვ... საჭმელად მცენარებისაგან მომზადებული წვენი, ახალი, რბილი ხილი, თეთრი პური, მაგრამ სჯობია სუხარი ახალს ერბოში (კარაქში) მოხრაკული როცა რჩენაშიწავა სასტიკად უნდა ერიდონ ფარეზობის დარღვევას, სიცივეს და აშფოთება-გაჯავრებას. რადგანაც ამ დროს ავადმყოფი სისუსტის გამო ძნელად ინელებს საჭმელს, ამიტომ იმისთანა საჭმელები უნდა შეურჩიონ, რომლებიც ადვილი მოსანელებელი არიან: მცენარეების წვენი, ხილი, და სხვ. აი მხოლოდ ეს საჭმელები ეჭმევა ავათმყოფს.

ქ. გაბო

# სამეცნიერო ცნობა

**ქალის მდგომარეობა არაბეთში.** არაბეთში ქალზე შემდეგი კანონია დადგენილი: „ქალი არსებაა, რომელიც მთელი დღე მორთვა-მოკაზმის მეტს არას აკეთებს; ის ყოველთვის მზათ არის უბრალო რამეზე წაგეჩხუბოთ; მას კარგათ უნდა მოეპყრათ, მაგრამ ზოგიერთს შემთხვევაში შეგიძლიანთ კარგა მიბეგოთ“. რამწამს ქალიშვილი დაიბადება, დედა იწყებს ტირილს და მამა შემდეგს სიტყვებს ამბობს. „ოხ, რა უბედური კაცი ვარ! ქალი დამებადა!“ ე. ი. ჩემი სახლი დაიწყევლაო. პირველ ხანებში დედას ბავშვი ზურგით დაჰყავს. მამა არაოდეს არ შეჰხედავს შვილს,—მისი ყურადღება მიპყრობილია ვაჟიშვილზე, რომელიც სახლის სიამაყეს შეადგენს, ასე რომ თვით პაწია ფატმა (ქალიშვილი) მას ისრე უცქერის, როგორც მომავალს ბატონს. პატარაობიდანვე ქალიშვილი ჰშველის დედას შინაურ საქმეებში. დგება დილა-ადრიან, ანთებს ცეცხლს, ხარშავს ქაშს, პატარა პურებს აცხობს, სწველის თხებს და ძროხებს და მხოლოდ ათასში ერთხელ სწყვეტავს მუშაობას სარკეში ჩასახედათ და ლოყებზე ფერის წასასმელად. მაგრამ მისთვის ყველაზე სასიხარულოა ხოლმე წყალზე წასვლა. იქ ჰაჩთან იკრიბებიან პაწია და დიდი ქალიშვილები, რომლებიც წყლის ავსების შემდეგ ხან ამ მთისას ლაპარაკობენ და ხან იმ მთისას. მაშინ, როდესაც პაწია ფატი (ქალიშვილი) დაუღალავად შრომობს, მისი ძმა, პატარა ალი, ერთობა თავის მამის ცხენით, ყველგან უკან დასდევს, უყურებს. როგორა სძოვს, უძვრება ფეხ-ქვეშ და უალერსებს ლამაზ ცხოველს. მაგრამ ჩქარა დგება დღე, როცა ფატმა ჰხედავს, რომ მისი მამის სახლი მორთულია სადღესასწაულოდ: ალის სრულ წლოვანად სთვლიან და აცმევენ ახალს სხვანაირს ტანისამოსს“. შემდეგ ამზადებენ ვახშამს. სახლის მამა შემოდის, რომელსაც ყველანი ხელზე ჰკოცნიან. შემდეგ მამა სახლისა კითხულობს ყორანიდგან მოკლე ლოცვას—ჯდება მუხლი-მუხლზე შემოდებული, სწვდება მარჯვენა ხელით საჭმელს და გაფოთებული იყრის პირში. თუ ქათამი აქვთ ვახშმათ—ჰგლეჯავენ უდანოთ ნაჭრებად, რადგანაც დანის ხმარება აღკრძალულია ყორანისაგან. თუ ვაჟიშვილი გადასწვდა და ერთი ნაჭერი გადმოითრია, მამა უცინის და არას ეუბნება, ხოლო თუ ეს ქალიშვილმა ჩაიდინა, ვაი იმის ბრალი—ცემით მოჰკლავს მამა. როცა სახლის მამა „მუცელს ამოივსებს“, როგორც არაბები ამბობენ,—ისვენებს ერთ წუთას, რის შემდეგ აძლევენ სასმელს. წყალი მიაქვთ თხის ტყავით (ტიკით), ის სვამს და შემდეგ უკან მიაქვთ. მთელ ამ ხნის განმავლობაში სახლის მამა ხმას არ იღებს; ქალები, ბავშვები, ძაღლები პატივისცემით ელიან, ვიდრე ის წყალობით წარმოსთქვამს წმინდა წიგნის სიტყვებს: „ჭამეთ თქვენც ყველამ!“... ამ ბძანების შემდეგ დანარჩენი წევრები ოჯახისა სჭამენ მამის მონარჩენს საჭმელს. თუ ამ დროს გლახა შემოვიდა, სახლის პატრონი—ეს ზარმაცი და ძუნწი კაცი, ძლიერ მეპურ-მარილეთ ხდება, ჰკლავს მოვლილ ცხოველს და კარგად უმასპინძლდება ახლად მოსულს, ვინც უნდა იყვეს. აგერ მზე ჩადის. მამა, მსახურნი, სტუმარი, ვაჟიშვილები, გლახა,—ყველანი დგებიან და ლოცულობენ, ფატმა კი ძაღლებს შუა ზის იმ პირების მოშორებით, რომელთაც, როგორც ეტყობათ, განსაკუთრებითი უფლება აქვთ ლოცვისა... ბოლოს ქალიშვილი ხდება თორმეტის წლისა და უფლება ეძლევა გათხოვდეს, მაგრამ ვის? მან არ იცის ეს, მას უფლება არა აქვს ქმარი ამოირჩიოს, ის უნდა მამამ მიჰყიდოს ვისაც სურს და მას ხმა არ ამოეღება. მართლაც რამდენიმე დღის უკან მოდის მამისაგან ამორჩეული სასიძო ძღვნით და ფულით. აცმევენ საპატარძლოს და აჩაღებენ ქორწილს, რომელიც მდგომარეობს სმაში, ცეკვა თემაშში და მამისაგან დალოცვ“. მეორე დღეს პატარძალი უკვე ქმრის სახლშია. პირველს ხანებს პატარძალი ტკბილად ატარებს, მაგრამ შემდეგ უჩნდება ვნება სიყვარულისა და სცდილობს ვისსამე შეყვარებას. მართლაც იყვარებს ერთს შემდეგ მეორეს, მესამეს და სხვ. და ბოლოს დგება დრო, როცა ლამაზი ფატმა, რომელიც ხიბლავდა ყველას, ზის სახლის კუთხეში. ის კაცი, რომელიც მას აღმერთებდა, ეხლა აღარც კი უცქერის; თვით ის ემალება ქმარს რომელიც ჩვეულებით აძლევს მას სამალავს. ამგვარია საზოგადოთ არაბელი ქალის ცხოვრება.

ჭ. გაბო


## განცხადებანი

# ბუოლის ნერგები

ისყიდება დ. ხონში ა. ა. საფაროვის და მ. ჳ. სანაძის აბრეშუმის ფაბრიკაში. (5—5)



ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

**ბ. მ. მირიმანიანისა**

**Музыкалчное дeпо**

**Б. М. Мириманіана**

Тифлисъ, Дворцов. ул. (54—7)



დაისტამბა და ისყიდება ყველგან ი. იმედაშვილის გამოცემა № 8

# რა არის ხარკი

და ან

## რისთვისა ჰკრეფენ

თარგმანი ი. გ—ისა

დამატება

სასოფლო წესდების ზოგიერთი მუხლები

**ფასი ერთი შაური**

ვინც გამომცემლისაგან იყიდის (ალექ. ბაღის პირდაპირ) ოცს ან მეტს, მანეთზე 30% დაეთმობა. მსურველთ ფას-დადებითაც გაეგზავნებათ.

ადრესი: Тифлисъ. Георг. ул. книжная торговля I. З. Имедашвили. (10—6)



„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება ფას-დაკლებით გრ. ტატიშვილის შემდეგი სურათებიანი საყმაწვილო გამოცემანი:

1, **გედები** . . . . 10 კ.

2, **ხუმარა სპილოები** 10 კ.

3, **კეთილი ძაღლი** . 10 კ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ 50 ცალისა, წიგნი დაეთმობა 8 კ.

აქვე იყიდება ფოსტის ქაღალდი ერეკლე მეფისა და ი. ჭავჭავაძის სურათით, ექსი თაბახი—10კ. (10—8)



# РУКОВОДСТВО

## КЪ ПРЕПОДАВАНІЮ ПО «РУССКОМУ СЛОВУ»

იაკობ გოგებაშვილისა, გამოცემა მეორე, გადასწორებული და შევსებული. ფასი ყდიანი წიგნისა სამი აბაზი, უყდოდ აღარ იყიდება. ვინც ნაღდს ფულზე იყიდის ათს ან მეტს, წიგნი დაეთმობა 48 კაპ. წიგნი მოწონებულია მთავრობისაგან ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებელთა ბიბლიოთეკებისათვის კავკასიაში.

# ОЧЕРКЪ

## СРАВНИТЕЛЬНОЙ ГРАММАТИКИ ГРУЗИНСКАГО И РУССКАГО ЯЗЫКОВЪ,

იაკობ გოგებაშვილისა, ფასი ერთი აბაზი. ვინც ათს ან მეტს იყიდის ერთად, წიგნი დაეთმობა 16 კაპ.; ეს უკანასკნელი წიგნი მთლად ჩართულია პირველის ბოლოში და ამიტომ პირველის მყიდველმა არ უნდა იყიდოს მეორე წიგნი.

საწყობი ორივე წიგნისა არის თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში. (6—4)



ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКІЙ И НАУЧНЫЙ ЖУРНАЛЪ

# „РУССКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(Годъ девятый).

## Книга II (Февраль).

### СОДЕРЖАНІЕ:

I. „Словесная кроха хлѣба“. Повѣсть. Кохановской (Н. С. Соханоской). Съ предисловіемъ С. И. Пономарева—II. „Годы службы Н. П. Гилярова-Платонова въ Московскомъ Цензурномъ Комитетѣ. 1859 годъ“. Гл. VI. Князя Н. В. Шаховскаго.—III. „Невинная игра“. Повѣсть. Гл. VIII—XIII. А. В. Стернъ.—IV. „Путешествіе Антіохійскаго патріарха Макарія въ Россію въ половинѣ XVII в., описанное его сыномъ, архидіакономъ Павломъ Алеппскимъ. Кн. IX. Гл. V—XI. (Переводъ съ арабской рукописи. Проф. Г. А. Муркоса).—V. „Въ этотъ храмъ закрыта дверь“... Стихотвореніе К. Н. Льдова.—VI „Янъ Колларъ, пѣвецъ „славянской взаимности“. Проф. Т. Д. Флоринскаго VII. „Подъ разными флагами“. Романъ. Гл. V—VI Ѳ. Э. Ромера.—VIII. „Классицизмъ, какъ необходимая основа гимназическаго образованія“. Часть вторая. Историческій очеркъ развитія средняго образованія въ Германіи. Гл. III—IV. Графа П. А. Капниста.—IX. „Ѣду я слѣдомъ туманнымъ, равнинною снѣжною“... Стихотвореніе. Н. Ѳ. Плахово.—X. „Путешествія по Россіи великаго Царя-Миротворца Александра III Александровича“ Гл. II Второе путешествіе по Россіи Государя Наслѣдника Александра Александровича (іюль—августъ 1865 г.). А. А. Шевалева.—XI. „Изъ далекаго прошлаго“. VI Изъ тревожной эпохи. Гл. I. На этапѣ. П. П Суворова.—XII. „Сотрудники князя А. Чарторыйскаго“. Ю. Ѳ. Крачковскаго.—XIII. „Рѣетъ снѣгъ, темна дорога“... Стихотвореніе Ѳедора Сологуба.—XIV. „Блины“ Правдивая исторія. В. С.—XV. „Владимірская женская община“. Свящ. І. И. Соловьева. -XVI. „Зимой“. Стихотвореніе. Г. Арищенко.—XVII. „Неравный бракъ“. Повѣсть. Ф. Эвартъ. (Переводъ съ нѣмецкаго О. И. Прибытковой).—XVIII. „Матеріалы для характеристики русскихъ писателей, художниковъ и общественныхъ дѣятелей“. Докладная записка въ Московскій Цензурный Комитетъ (26 іюня 1859 г.). Цензора Никиты Гилярова-Платонова. -XIX. „Высокопреосвященный Сергій, митрополитъ Московскій и Коломенскій (Некрологъ). І. Ф—XX. „Критика“: Жизнь и поэзія Н. М. Языкова. В. Смирнова.—XXI. „Библіографія“: 1) Церковное зодчество. 2) Исторія 3) Общественная жизнь. 4) Народное хозяйство 5) Справочники. XXII. „Внутреннее обозрѣніе“: Выходка Орловскаго губернскаго земства противъ религіозноправственнаго просвѣщенія народа.—Налоги на нужды государственныя и на нужды мѣстныя.—Невѣроятная тягость земскаго обложенія.—Невозможность допускать ея увеличеніе.—Фикція самообложенія населенія и ограниченіе обложенія законодательнымъ путемъ. А. И. Елишева.—XXIII. „Иностранное обозрѣніе“. Не-дипломата.—XXIV. „Рѣчь славянскимъ гостямъ. А. Н. Штиглица.—XXV. Книги, поступившія въ редакцію.—XXVI. Объявленія.—XXVII. Приложеніе: „Крестоносцы“. Историческій романъ. Генрика Сенкевича. (Переводъ съ польскаго А. І. Чичаговой).

ПОДПИСНАЯ ЦѢНА (въ предѣлахъ Имперіи) съ пересылкой и доставкой: на годъ—15 руб., на полгода—7 руб. 50 коп., на 3 мѣсяца—3 р. 75 к., на 2 мѣсяца—2 р. 50 к., на 1 мѣсяцъ 1 р 25 к.

Для лицъ духовнаго званія, для г.г. преподавателей высшихъ, среднихъ и низшихъ учебныхъ заведеній, для лицъ военнаго сословія и для учащихся въ высшихъ учебныхъ заведеніяхъ подписная цѣна 1 годъ—11 руб., 6 мѣс—6 руб., 3 мѣс.—3 руб., 2 мѣсяца—2 рубля, 1 мѣс—1 р. Правительственныя и общественныя учрежденія всѣхъ вѣдомствъ, полковыя библіотеки, военныя собранія, а равно и лица, состоящія въ оныхъ на службѣ, могутъ получать журналъ въ кредитъ, заявивъ о семъ конторѣ журнала черезъ свои канцеляріи.

Съ пересылкой за границу 18 рублей.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:

ВЪ МОСКВѢ: Въ конторѣ журнала и во всѣхъ книжныхъ магазинахъ.

ВЪ С.-ПЕТЕРБУРГѢ: Въ отдѣл. конт. журнала—при книжн. магаз. Н. Фену и К°, Невскій, домъ Армянск. церк., № 40, и въ библіот. Семенникова. Василевскій Остр., 6 линія, д. № 25 Здѣсь же производится продажа отдѣльн. №№ журнала.

Подписка принимается и въ другихъ городахъ и во всѣхъ лучшихъ книжныхъ магазинахъ. Подписку съ разсрочкой платежа просятъ адресовать исключительно въ контору редакціи.

Книги журнала за всѣ 7 лѣтъ съ его основанія (1890—1896 г.г.), продаются въ конторѣ редакціи по 5 руб. за годъ. За пересылку доплачивается на мѣстѣ по разсчету. Выписывающимъ всѣ семь лѣтъ—пересылка на счетъ редакціи.

Письма телеграммы, рукописи и посылки адресуются такъ: *Москва, редакція Русскаго Обозрѣнія.* (Тверской бульваръ, домъ Яголковскаго)

Редакторъ-издатель **АНАТОЛІЙ АЛЕКСАНДРОВЪ.**

(3—3).


Дозволено цензурою. Тифлисъ, 10-го Апрѣля 1898 г. სტამბა „ცნობის ფურცლისა“ (გ. კუნისა) სას. ქ. სთ.-ის. ქარ. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.